

საკონტროლო-სალარო აპარატის გადახდის განვადებით ნასყიდობის საერთო პირობები

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საკონტროლო-სალარო აპარატის (შემდგომში - სსა/საქონელი) მიწოდება და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება.

1.2. საქონლის მყიდველისათვის გადაცემა დასტურდება გამყიდველის მიერ მყიდველისათვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიწოდებული სასაქონლო ზედნადების ან/და საკონტროლო-სალარო აპარატის მყიდველის მიერ მიღების/ჩაბარების შესახებ ხელმოწერილი დოკუმენტის (განაცხადის) საფუძველზე.

1.3 საკონტროლო-სალარო აპარატის გადახდის განვადებით ნასყიდობის შესახებ განაცხადი, წარმოადგენს წინამდებარე პირობების განუყოფელს ნაწილს, განიხილება მასთან ერთად და ერთიანობაში ქმნის საკონტროლო-სალარო აპარატის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებას.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. გამყიდველი ვალდებულია:

2.1.1. გადასცეს მყიდველს საქონელი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში.

2.1.2. გაუწიოს მყიდველისთვის გადაცემულ საკონტროლო სალარო აპარატის სარეგისტრაციო, საგარანტიო ტექნიკური მომსახურება, (წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად) და უზრუნველყოს შემოსავლების სამსახურთან შესაბამისი GPRS კავშირი.

2.2. გამყიდველი უფლებამოსილია:

2.2.1. მოთხოვოს მყიდველს მიწოდებული საქონლის და მომსახურების ღირებულების გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად, ხოლო მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, წერილობითი გაფრთხილებით მიმართოს მყიდველს დარღვევის აღმოფხვრის/გამოსწორების მოთხოვნის შინაარსით, ხოლო მყიდველის მხრიდან, დამატებით მიცემულ ვადაში დარღვევის აღმოფხვრელობის შემთხვევაში ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება.

2.2.2. დროებით, ნაწილობრივ, და/ან მთლიანად შეუჩეროს ან შეუწყვიტოს მყიდველს სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების უზრუნველყოფა, იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის მიერ დროულად და სრულად არ იქნება გადახდილი სააბონენტო გადასახადი.

2.3 მყიდველი ვალდებულია:

2.3.1. გადაიხადოს საქონლის შესყიდვისა და მომსახურების შესაბამისი საზღაური, წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობებისა და წესის შესაბამისად;

2.3.2. საქონლის ნასყიდობის ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველის მხრიდან გადახდის მოთხოვნაზე წარდგენილი გაფრთხილების 1 თვიანი ვადის გასვლის მიუხედავად, დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს გამყიდველის მოთხოვნის დღიდან 5 დღის განმავლობაში დაუბრუნოს გამყიდველს საქონელი დაუზიანებლ/გამართულ მდგომარეობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულად აუნაზღაუროს გამყიდველს, საქონლის დაზიანებით მიყენებული ზიანი, არაუგვიანეს გამყიდველის მოთხოვნის დღიდან 10 დღის განმავლობაში. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირობის (საქონლის გამყიდველისათვის დაბრუნება) დადგომის შემთხვევაში, გამყიდველს, პირგასამტეხლოს სახით სრულად რჩება მყიდველის მიერ გამყიდველისათვის გადახდილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქონლის ღირებულება, ხოლო გამყიდველისათვის საქონლის დაბრუნების ვადის გაჭიანურების შემთხვევაში მყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო, საქონლის ღირებულების ორმაგი ოდენობით.

3. მომსახურების განვების წესი და პირობები

3.1 სსა-ის საგარანტიო პერიოდი იწყება მისი პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან და სრულდება 1 კალენდარული წლის ვადაში.

3.2 საგარანტიო მომსახურება გულისხმობს გამყიდველის მხრიდან სსა-ის ტექნიკური გაუმართაობის აღმოფხვრას იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მთელი ამ ხნის განმავლობაში თითოეულ საანგარიშო თვეზე გამყიდველს გადაუხდის მომსახურების სააბონენტო გადასახადს.

3.3. გამყიდველის მიერ მყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების განვება ხორციელდება გამყიდველის შესაბამის ფილიალში. აღნიშნული მომსახურების მისაღებად მყიდველი ვალდებულია დაზიანებული სსა მიანდოს გამყიდველს შესაბამის ფილიალში, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური საგარანტიო მომსახურება.

3.4. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის დაზიანება გამოწვეულია მყიდველის მხრიდან მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესების არასწორი გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის, სსა ლუქის დაზიანების, შიდა მონყობილობაში შესვლის მცდელობის, მისი მექანიკური დაზიანების, ფორს მაჟორული შემთხვევის შედეგად, მყიდველი კარგავს გამყიდველისგან საგარანტიო ტექნიკური მომსახურების მიღების მოთხოვნის უფლებას.

3.5 ამ მუხლის 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილია განაახლოს სსა საგარანტიო ტექნიკური მომსახურება, მხოლოდ მისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით.

4. საქონლის მიწოდების გადასახადი და ანგარიშსწორების წესი

4.1 საქონლის ნასყიდობის საფასური, ისევე როგორც მისი გადახდის პირობები განისაზღვრება საკონტროლო-სალარო აპარატის გადახდის განვადებით ნასყიდობის შესახებ განაცხადით;

4.2. მომსახურების სააბონენტო გადასახადი თვეში შეადგენს 5 (ხუთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით ერთეულ საქონელზე;

4.3. საქონლის ნასყიდობის ღირებულების გადახდა წარმოებს ნაღდი, ან უნაღდო ანგარიშსწორებით. .

4.4. მყიდველის მიერ გამყიდველისათვის, 12 (თორმეტი) თვის მომსახურების სააბონენტო გადასახადის (ჯამში 60 (სამოცი) ლარი) გადახდა წარმოებს ნაღდი, ან უნაღდო ანგარიშსწორებით, ავანსის სახით, არაუგვიანეს მყიდველისათვის საქონლის გადაცემის დღეს.

4.5 იმ შემთხვევაში თუ მყიდველი არღვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ გადახდის პირობებს, გამყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 %-ის ოდენობით და/ან წერილობითი ან ელექტრონული ფოსტით შეტყობინების გაგზავნის გარეშე, დაუყოვნებლივ გაუთიშოს მყიდველს შესაბამისი GPRS კავშირი შემოსავლების სამსახურთან.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი გაგრძელების და შეწყვეტის პირობები

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის საკონტრაქტო-სალარო აპარატის გადახდის განვადებით ნასყიდობის შესახებ განაცხადის ხელმოწერის მომენტიდან.

5.2 ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 3 წლის ვადით, მაგრამ არაუადრეს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

5.3 თუ ხელშეკრულების ვადის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე, არც ერთი მხარე არ გამოთქვამს სურვილს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, მაშინ იგი გრძელდება იგივე ვადითა და მომსახურების პირობებით.

5.4. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად, ვადამდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

5.5 იმ შემთხვევაში თუ მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა არ არის განპირობებული გამყიდველის ბრალით, გამყიდველის ვალდებულებები ითვლება შესრულებულად მთელ მომსახურების პერიოდზე და გამყიდველი უფლებამოსილია არ დაუბრუნოს მყიდველს მომსახურებისთვის წინსწრებით გადახდილი თანხა.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუხედავად მხარეთა მიერ შექმნილი დავის განიხილავს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლო.